აზარტული თამაში და ინდივიდის ფსიქო-ემოციური მახასიათებლები კოვიდ-პანდემიისა და უკრაინის ომის კონტექსტში

თინათინ კანდელაკი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია შეყრილაძე

PhD, MSW, LCSW ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ კანდელაკი

15.06.2022

მადლობა

უპირველეს ყოფლისა, განსაკუთრებული მადლობა ჩემს ხელმძღვანელს დახმარებისთვის, გვერდში დგომისთვის, ღიაობისა და ხელმისაწვდომობისთვის.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო ლექტორებს, ვინც დამეხმარა კითხვარების მოპოვებაში.

და ბოლოს, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს კურსელებს, მეგობრებს მხარდაჭერის, თანადგომის, გუნდური მუშაობისა და ერთობისთვის.

აბსტრაქტი

ფონი: 2019 წლის დეკემბრიდან კოვიდ-პანდემია, ხოლო 2022 წლის თებერვლიდან უკრაინა-რუსეთის ომი მიმდინარეობს. რუსეთი-უკრაინის ომმა გამოიწვია საქართველოს მოსახლეობის რეტრავმატიზაცია, გაამწვავა ტერიტორიული დანაკარგის განცდა და მომავლის შიში და, შეიძლება ითქვას, რომ გადაფარა კიდევაც კოვიდზე წუხილი.

მიზანი: წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს აზარტული მოთამაშეების ფსიქო-ემოციური მახასიათებლების კვლევა, მსოფლიოში ამჟამად ორი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხის, კოვიდ-პანდემიისა და უკრაინის ომის კონტექსტში.

მეთოდი: ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა. კვლევის მონაწილეებს წარმოადგენდნენ 20-35 წლის თამაშდამოკიდებული კაცები, რომლებიც მკურნალობას გადიოდნენ. კვლევის მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა 50 ადამიანს. მათ მიიღეს ონლაინ კითხვარები ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. კვლევა ჩატარდა 2022 წლის მაისში.

შედეგები: დადასტურდა სტატისტიკურად სანდო უარყოფითი კორელაცია ცხოვრების საზრისის ფლობასა და დეპრესიას და შფოთვას შორის. ასევე დადასტურდა სტატისტიკურად სანდო დადებითი კორელაცია სიტუაციურ შფოთვასა და დეპრესიას შორის და დადებითი კორელაცია უკრაინის ომზე წუხილსა და დეპრესიას და სიტუაციურ შფოთვას შორის. სხვა ცვლადებს შორის არ დადასტურებულა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი.

დასკვნა: რაც უფრო მაღალია ცხოვრების საზრისის ფლობა, მით უფრო დაბალია სიტუაციური შფოთვა და დეპრესია.

საკვანძო სიტყვები: თამაშდამოკიდებულება, კოვიდ-წუხილი, ომზე წუხილი, დეპრესია, სიტუაციური შფოთვა, ცხოვრების საზრისი, თვითეფექტურობა.

Abstract

Background: The Covid-Pandemic has been going on since December 2019, and the Russia-Ukraine war since February 2022. The Russia-Ukraine war has led to the re-traumatization of the Georgian population, exacerbated a sense of territorial loss and the fear of the future, and, arguably, overshadowed even the worries about Covid-19.

Objective: The purpose of this paper was to study the psycho-emotional characteristics of gamblers in the context of two currently important and topical issues in the world, the Covid-Pandemic and the Ukraine war.

Method: Quantitative research was conducted. Participants in the study were 20-35 year-old gambling addicts who were into treatment. The number of study participants was 50 people. They received online questionnaires via email. The survey was conducted in May 2022.

Results: A statistically reliable negative correlation was established between having meaning in life and depression and anxiety. There was also a statistically reliable positive correlation between anxiety and depression and situational anxiety about the Ukraine war. No statistically significant relationship was found between the other variables.

Conclusion: The higher the possession of the meaning of life, the lower the situational anxiety and depression.

Keywords: Gambling addiction, Covid-anxiety, War Anxiety, Depression, Situational Anxiety, Meaning of Life, Self-efficacy.

სარჩევი

აბსტრაქტი 4

Abstract 5

შესავალი 7

- საკვლევი საკითხი 7
- თემის აქტუალობა 7

ლიტერატურის მიმოხილვა 10

- აზარტული თამაში და თამაშდამოკიდებულება 10
- თამაშზე დამოკიდებულების ეპიდემიოლოგია 11
- თამაში, როგორც გამკლავების გზა 13
- უკრაინის ომი 18
- კოვიდ-პანდემია და თამაშდამოკიდებულება 23
- ცხოვრების საზრისი და თამაშდამოკიდებულება 24
- შფოთვა, დეპრესია და თამაშდამოკიდებულება 24
- საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზები 27

კვლევის მეთოდოლოგია 28

- შერჩევა და კვლევის პროცედურა 28
- საკვლევი ინსტრუმენტები 28
- მონაცემთა დამუშავების გზები 29

შედეგები 30

დისკუსია 32

დასკვნა 34

გამოყენებული ლიტერატურა: 35

დანართები 40